- ნოტარიატთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება;
- ნოტარიატთან დაკავშირებულ საქმიანობასთან დაკავშირებული დავების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- სასამართლო ორგანოებში ნოტარიუსთა პალატისა და პალატის ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლობა; სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მიღება, სადაც ნოტარიუსთა პალატა ან ნოტარიუსი ჩართულია მხარედ, მოპასუხედ, ან მესამე პირად;
- სარჩელის, შესაგებლის და სასამართლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული სხვა საჭირო დოკუმენტაციის შედგენა-წარმოება;
- სამართლებრივი ხასიათის განცხადებების (კორესპონდენციის) შესწავლა და შესაბამისი პასუხების მომზადება;
- ნოტარიუსთა პალატის სახელით გამოსაცემი სამართლებრივი ხასიათის, ნოტარიატთან დაკავშირებული, სახელმძღვანელო თუ სარეკომენდაციო მასალების მომზადება;
- ნოტარიატის საქმიანობით დაინტერესებულ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ნოტარიატის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზისა და გამოცდილების შესწავლა-ანალიზი და ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების სრულყოფის მიზნით, შესაბამისი წინადადებების წარდგენა;
- ნოტარიატთან დაკავშირებული საერთაშორისო მასალების, დოკუმენტების, უცხოეთიდან მიღებული კორესპონდენციის შესაბამისი დამუშავება და გავრცელება;
- ნოტარიატში მიმდინარე რეფორმის მხარდაჭერისა და სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით, შესაბამისი პროექტის წინადადების შემუშავება და საერთაშორისო (დონორი) ორგანიზაციებისთვის წარდგენა;
- ამ სამსახურთან დაკავშირებული სხვა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება